

შოთა იათაშვილი

გასწორება

ნიკა ჯორჯანელს

როცა გადამთვრალი,
ლამის 3 საათზე
პინგ-პონგს თამაშობ
დაბრეცილ მაგიდასთან,
მოშვებული ბადის წინ,
ჩაჭყლეთილი ბურთით
და გაქუცული რაკეტით,
სადღაც ნუცუბიძეზე,
გაურკვეველ სასტუმროში,
და ოთხით ერთს აგებ,
სწორედ მაშინ სწორდება ცხოვრება.

2013

დიაგონალი

როცა იცი, რომ წინ აღარ უნდა იყურებოდე
და არც უკან მიხედვაში დევს რამე აზრი,
გვერდით კი უკვე არავინ გიდგას,
სწორედ მაშინ გაგახსენებს ეს ცხოვრება,
რომ არსებობს დიაგონალიც.

2014

ლექსის წერის მეთოდი

აურიე ადამიანები ნივთებში,
მერე გამოაცალკევე.
სანამ გამოაცალკევებ,
ერთმანეთის თვისებები გადაედებათ.
ჰოდა, მერე წერე ადამიანებზე, როგორც ნივთებზე და
რაც მთავარია - პირიქითაც.

აურიე ლურჯი და ყვითელი ერთმანეთში,
მიიღებ მწვანეს.
ან ლურჯი და წითელი -
მიიღებ იასამნისფერს.
ბევრ პოეტს უყვარდა ფერები.
განსაკუთრებით თრაკლს.
სულ ერთმანეთში ურევდა,
თუმცა ალბათ იყვნენ ისეთებიც,
ფერები რომ სძულდათ.

აურიე სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთმანეთში -
მიიღებ ბლეიკს.
ან მინიმუმ - მილტონს.
თუმცა, თუ აურევ, იცოდე,
მერე გაგიჭირდება გამოცალკეება.

აურიე. ერთი სიტყვით - აურიე.
კარგად, ბოლომდე აურიე.
და მერე შეეცადე გამოაცალკეო.

ეგაა, მეტი არაფერი
პოეზია.

2011

ციკლონობის რღვევა

ცუდია, როცა მაცივარი გიფუჭდება
და სახლშიც მხატვარი არავინაა,
რომ დამპალი ხილ-ბოსტნეული გამოიყენოს
და ისეთი ნატურმორტი შექმნას,
რომელიც სასწრაფოდ
მაცივრის ფასად გაიყიდება.

2022

მოძრაობა

ქარი ქროდა და ქალს მიაფრიალებდა.
ქალი მიფრიალებდა და კაცი მისდევდა.
კაცი მირბოდა და უკან სამეგობრო მიყვებოდა.
სამეგობრო მიდიოდა და ლუდხანა იდგა.
ლუდხანა იდგა და ლუდი მჟავდებოდა.
ლუდი მჟავდებოდა და დახლიდარი ბერდებოდა.
დახლიდარი ბერდებოდა და თმა ცვიოდა.
თმა ცვიოდა და ბომბებიც ცვიოდა ციდან.
ბომბები ცვიოდა ციდან და სახლები ინგრეოდა.
სახლები ინგრეოდა და ახალი ლუდხანა შენდებოდა.
ახალი ლუდხანა შენდებოდა და ახალი სამეგობრო მოდიოდა.
ახალი სამეგობრო მოდიოდა და ახალი კაცი მორბოდა.
ახალი კაცი მორბოდა და ახალი ქალი მოფრიალებდა.
ახალი ქალი მოფრიალებდა და ძველი ქარი ქროდა.
ძველი ქარი ქროდა და ქარის წისქვილები ტრიალებდნენ.
ქარის წისქვილები ტრიალებდნენ და დონ კიხოტიც იბადებოდა.
დონ კიხოტი იბადებოდა და სერვანტესიც კვდებოდა.
სერვანტესი კვდებოდა და შექსპირიც კვდებოდა.
ანუ 1616 წლის 23 აპრილი იდგა და
ლიტერატურა გლოვობდა და ღმერთი იცინოდა.
ღმერთი იცინოდა და ხანდახან კაციც იცინოდა.
კაცი იცინოდა და ლუდს სვამდა.
ანუ პირიქით: ჯერ ლუდს სვამდა და მერე იცინოდა.
და მერე ტიროდა.
ბოლოს კი დგებოდა ფეხზე და ბარბაცით ქალს მისდევდა.
ქალი გარბოდა და ქარს კუდში მიჰყვებოდა.
ქარი მიქროდა და ცდილობდა სინათლის სხივს დასწეოდა.
კაცი იდგა და მათ დაჭერობანას უყურებდა.
კაცი ხან ფიზიკოსი იყო,
ხან პოეტი,
ხან ლოთი.კაცი ხშირად შედიოდა ლუდხანაში და
სანამ ლუდი დამჟავდებოდა და დახლიდარი დაბერდებოდა,
სვამდა ლუდს და მეგობრებთან ბჭობდა,
ღმერთი კი იცინოდა,
ღმერთი იცინოდა...
და ქარი ქროდა...

2008

* * *

მინას ვთხრიდი და
ცას რას ერჩიო – მისაყვედურეს.
ცაში ავიჭერი და
როდემდე უნდა ჩიჩქნო მინაო – შემარცხვინეს.
ჩრდილოეთით წავედი და –
დავიხუთე.
სამხრეთით წავედი და –
გავიყინე.
დასავლეთით წავედი და –
ჩალმინანებს გადავეყარე.
აღმოსავლეთით წავედი და –
დემოკრატია დამხვდა.
ფეხი არ მოვიცვალე და –
რით ვერ დაეტეე შენს ადგილასო – დამიტატანეს.
შევიყვარე და –
შემიძულეს.
შევიძულე და –
შემიყვარეს.

დალაგდა ყველაფერი.

2013

სურათი კორშადან

დღე იყო ისეთი, რომ
მეზობლის ეზოში
ტაშტიც კი ტაშტს ეფერებოდა.

2015

პოეტური გამოცდილების სიმწარე

მათ შეუძლიათ იცხოვრონ.
მე შემიძლია ვწერდე.

მათ შეუძლიათ ყალყზე შეაყენონ მოტოციკლეტები.
მე შემიძლია ამაზე სრულიად შთამბეჭდავად ვწერდე.

მათ შეუძლიათ ერთმანეთს ეხუტებოდნენ ბედნიერები.
მე შემიძლია, მათ გვერდით აბუზული ვიდგე
და გონებაში გამომყავდეს მოხდენილი ფრაზები იმის შესახებ,
თუ როგორ უღიმის ერთი მეორეს -
მაგალითად ასე: გოგოს ჩექმები ბიჭის ჩაფხუტს,
ან პირიქით: ბიჭის ჭინსი გოგოს კაშნეს.

მათ შეუძლიათ არ შემამჩნიონ.
მე სხვა გზა არ მაქვს: უნდა შევამჩნიო ისინი, როგორც ლექსის თემა.

მათ შეუძლიათ იცხოვრონ ჩემზე უკეთ.
მე შემიძლია მათზე უკეთ ვწერდე.

2012

შუქი

ანდრო ბუაჩიძეს, «გადამტყდარი ლექსების» ავტორს

ქალაქის ქუჩებში ასობდნენ ბოძებს
და ბოძებს შორის წიმავედნენ ნერვებს.
სალამობით კი ნერვები იძაბებოდა
და ქალაქში მოჰქონდა შუქი.
აქეთ იდგა ნაყინის გუბე და იქით - სისხლის.
ნაყინის გუბეს ლოკავდა კატა,
სისხლისას კი ამრობდა ქარი.
ელნათურები - აწონილი და წელში მოხრილი პოეტები - კი
უჩუმრად იდგნენ და ქალაქის მნივანა ფერებს
ფართო თვალებით ჩასჩერებოდნენ.
აქეთ ეყარა ნამსხვრევები ბოთლების და იქით - ლექსების.
ბოთლის ნამსხვრევებს მეფხოვე ქურთის ქალი ღიღინით ხვეტდა
და ლექსისას ფანტავდა ქარი.
კიდევ ერთი ნერვი ჩანყდა რომელიღაც პოეტს სხეულში
და რეზინისხელთათმნიანმა მუშებმა იგი
მალლა, ბოძებს შორის გააბეს.
აქეთ იდგა ერთი ბოძი და მეორე - იქით.
ბოძებს შორის ეგდო დანა და
ბოძების გასწვრივ შიშატანილი გარბოდა ქარი.
ქალაქში თხრიდნენ ორმოებს და
რგავდნენ ხეებს და
მიცვალებულებს ასაფლავებდნენ.
ქალაქში თხრიდნენ ორმოებს და
მიგ დაჟანგულ მავთულებს და
მკვდარ ძაღლებს ყრიდნენ.
ქალაქში პოეტს აგლეჯდნენ ნერვებს,
კიდებდნენ ცაში,
მას კი ქუჩაში ტოვებდნენ და ამაღლიდნენ
ღერ სიგარეტსა და ჭიქა არაყს.
აქეთ იდო კბილი ნიორი და იქით პური.
მაგიდაზე ობდებოდა ლექსები და
ღრიჭოებში ძვრებოდა ქარი.
ქალაქის ქუჩებში კი ისევ ისე ასობდნენ ბოძებს
და ბოძებს შორის წიმავედნენ ნერვებს.
სალამობით კი ნერვები იძაბებოდა
და ქალაქში მოჰქონდა შუქი.

1994

დამიზეპირე

დამიზეპირე დღეს სალამოს.
მერე დანექი, დაიძინე.
დილით, როგორც კი გაიღვიძებ,
გამიმეორე.
მე ვინვები შენ გვერდით და
ტკბილად ვიძინებ.
სიზმრად გნახავ ჩემზე თავდახრილს და
მობუტბუტეს.
გნახავ, როგორ უყვები ჩემს თავს
ხეებს, ვარსკვლავებს.
როგორ გადიხარ ქალაქში და
ყოველ შემხვედრს აბარებ საგანს,
სახელად «შოთა».

დამიზეპირე ყოველ სალამოს.
მერე იძინე ან იფხიზლე,
ხოლო დილით
ჩამაბარე ხალხსა და ნივთებს,
ლოცვას,
ბალახებს.

იქნებ ლექსი ვარ,
იქნებ კაცი,
იქნებ ბამბუკი.

დამიზეპირე.
ან, ბოლო-ბოლო, დამიზეუთხე -
მე ესეც მანყოფს.

1998

XX საუკუნის დასასრულის პოეტი

აი, შეხედეთ, მოდის ისიც,
XX საუკუნის დასასრულის პოეტი.
მას ხელიდან გაავდებინეს ყვავილების თაიგულები და ვარსკვლავები,
ხოლო პირიდან ამოაგლიჯეს
სიყვარული, ერთგულება, მშვენიერება, სილამაზე
და მსგავსი კობტაპრუნა სიტყვები.
აი, შეხედეთ, მოდის ისიც,
აცვია ჯინსები, ხელში უჭირავს ცარიელი ბოთლებით სავსე ჩანთა და
მინის ტარის მიმღები პუნქტისაკენ მიემართება.
მას აქვს პესიმიზმით გამოტენილი თავი და ცარიელი ჯიბეები.
მას გული ერევა რითმიანი ლექსებისა და
პოლიტიკური სტატიების კითხვისას.
მან იცის, რომ საუკუნის უზარმაზარი საავადმყოფოს
რენიშაციულ განყოფილებაში აგდია პოეზია და ის და მისთანანი
სასონარკვეთით ლამობენ კლინიკური სიკვდილიდან მის გამოყვანას.
ის და მისთანანი - XX საუკუნის დასასრულის პოეზიის კლოუნები.
ცირკი მოკვდა! მოკვდება პოეზიაც! -
ხარხარებენ მილიონიანი ქალები თავიანთი მყრალი ხახებით.
და ისიც, ამ ხახაში ჩავარდნილი, მილასლასებს მის ენაზე - ქურაზე
და აკვირდება საგნებს,
რომლებიც ხელში შეაჩერეს ვარსკვლავების და ვარდების ნაცვლად:
ტრამვაი, ასფალტი, კანალიზაცია, ბენზინი,
ერთჯერადი შპრიცი, ტრანსფორმატორი...
აი, ამ სიტყვების ხარახურისგან უნდა ააწყოს
„კონსტრუქტორი“ პოეზიისა.
XX საუკუნის დასასრული... - ძნელია დაიბადო სუფთა ჰაერზე,
ძნელია დაიბადო სიყვარულის ნიადაგზე მომხდარი
სქესობრივი აქტის შედეგად,
ძნელია დაიბადო საკეისრო კვეთის გარეშე,
ძნელია დაიბადო და სიცოცხლე არ დაგაყვედრონ,
ძნელია დაიბადო პოეტად და არ გინოდონ ტაკიმასხარა,
ძნელია დაიბადო XX საუკუნის მეორე ნახევარში,
ძნელია დაიბადო...
და ისიც დაიბადა გაჭირვებით, კონვულსიებში,
დაიბადა პოეტი-ჭამბაზი,
ტვინში ჩააყარეს ახლადგამოჩარხული სიტყვების ჯართი,
რათა ოკრობოკრო სტრიქონებად გადაადნოს და
მერე მასზე, როგორც ბენჯის ხიდზე, ისე გაიაროს.
და აი, მიქანაობს ისიც მინის ტარის მიმღები პუნქტისაკენ,
ის, XX საუკუნის დასასრულის პესიმიზმით გამოტენილი პოეტი,
და ხელში ჩანთა უჭირავს, ცარიელი ბოთლებით სავსე

1992